

საბჭოს რეგულაცია (EC) 539/2001

15 მარტი 2001წ.

მესამე ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებს მოეთხოვება ვიზა გარე საზღვრების კვეთისას და რომელთა მოქალაქეები გათავისუფლებული არიან ამ მოთხოვნისგან

მუხლი -1

ამ რეგულაციის მიზანია, განსაზღვროს ის მესამე ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებზეც ვრცელდება ვიზის მოთხოვნა და ის მესამე ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებიც გათავისუფლებული არიან ამ მოთხოვნისგან, რაც დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ ქვეყნების შეფასებაზე სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. ასეთ კრიტერიუმებს შორისაა არალეგალური იმიგრაცია, საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება, ეკონომიკური სარგებელი - კერძოდ, ტურიზმის და საგარეო ვაჭრობის თვალსაზრისით და ევროკავშირის საგარეო ურთიერთობები შესაბამის მესამე ქვეყანასთან. ამ ურთიერთობაში იგულისხმება, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა საკითხები და აგრეთვე რეგიონული თანხვედრა და ნაცვალგების საკითხები.

მუხლი 1

1. იმ მესამე ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც ჩამოთვლილია I დანართში, მოეთხოვებათ ვიზა, წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრების გადაკვეთისას.
იმ პირობით, რომ ლტოლვილებისთვის ვიზების გაუქმების შესახებ 1959 წლის 20 აპრილს სტრასბურგში ხელმოწერილი ევროპული შეთანხმების მოთხოვნები მოქმედებს სრულად, ლტოლვილის და მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მქონე პირებს მოეთხოვებათ ვიზა წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრების გადაკვეთისას, თუ ის მესამე ქვეყანა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და რომელსაც მათზე გაცემული აქვს თავისი სამგზავრო დოკუმენტი, არის ამ რეგულაციის I დანართში მითითებული მესამე ქვეყანა.

2. II დანართში მითითებული მესამე ქვეყნების მოქალაქეები გათავისუფლებული არიან პირველ პუნქტში აღნიშნული ვალდებულებისგან, თუ მათი დარჩენის ვადა არ აღემატება 90 დღეს ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში.

სავიზო ვალდებულებისგან გათავისუფლებული არიან ასევე:

- ამ რეგულაციის I დანართში მითითებული მესამე ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ საზღვრის გადაკვეთის ნებართვას საზღვრისპირა მაცხოვრებლებისთვის, რომელიც გაცემულია წევრი სახელმწიფოების მიერ ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის #1931/2006 რეგულაციის საფუძველზე, რომელიც ადგენს წევრი სახელმწიფოების გარე სახმელეთო საზღვრების გადაკვეთის წესებს საზღვრისპირა მაცხოვრებლებისთვის და ცვლილება შეაქვს შენგენის კონვენციაში¹, თუ ამ ნებართვის მფლობელები ახორციელებენ ამ უფლებას საზღვრისპირა მაცხოვრებლებისთვის დადგენილ საზღვრის გადაკვეთის რეჟიმში;

¹ OJ L 405, 20.12.2006, გვ. 1.

- სკოლის მოსწავლეები, რომლებიც არიან I დანართში მითითებული მესამე ქვეყნების მოქალაქეები და ცხოვრობენ იმ წევრ სახელმწიფოში, რომელიც იყენებს 1994 წლის 30 ნოემბრის საბჭოს გადაწყვეტილებას # 94/795/JHA ერთობლივი ქმედების შესახებ და მიღებულია საბჭოს მიერ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების K.3.2.b მუხლის საფუძველზე, რომელიც ეხება წევრ სახელმწიფოში მცხოვრები მესამე სახელმწიფოს სკოლის მოსწავლეების სამგზავრო საშუალებებს², როდესაც ეს სკოლის მოსწავლეები იმყოფებიან სასკოლო ექსკურსიაზე, როგორც სკოლის მოსწავლეთა ჯგუფის წევრები და მათ თან ახლავს შესაბამისი სკოლის მასწავლებელი;
- ლტოლვილის და მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მქონე პირები და პირები, რომელთაც არ აქვთ არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა, ცხოვრობენ წევრ სახელმწიფოში და აქვთ ამ წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტი;

3. მოქალაქეები იმ ახალი მესამე ქვეყნებისა, რომლებიც ადრე იყვნენ I და II დანართებში მითითებული ქვეყნების შემადგენლობაში, შესაბამისად ექვემდებარებიან 1 და 2 პუნქტების მოქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა და მანამ, სანამ საბჭო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას ევროკავშირის ხელშეკრულების შესაბამისი ნორმით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.

4. თუ II დანართში მითითებული მესამე ქვეყანა ითხოვს ვიზას თუნდაც ერთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებისგან, მაშინ გამოიყენება შემდეგი დებულებები:

(a) მესამე ქვეყნის მიერ ვიზის მოთხოვნის განხორციელებიდან 30 დღის ვადაში ან იმ შემთხვევაში, თუ 2014 წლის 9 იანვრის მდგომარეობით არსებული ვიზის მოთხოვნა კვლავ ძალაშია - მაშინ ამ თარიღიდან 30 დღის განმავლობაში შესაბამისი წევრი სახელმწიფო ატყობინებს ევროპის პარლამენტს, საბჭოს და კომისიას ამის შესახებ წერილობით.

ეს შეტყობინება უნდა შეიცავდეს:

(i) მითითებას თარიღზე, როდესაც დაიწყო ვიზის მოთხოვნის განხორციელება, აგრეთვე შესაბამის სამგზავრო დოკუმენტებზე და ვიზების სახეებზე;

(ii) დეტალურ აღწერილობას იმ ღონისძიებებისა, რომლებიც მიიღო შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ, რათა უზრუნველყო უვიზო მიმოსვლა შესაბამის მესამე ქვეყანასთან და ყველა მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

ინფორმაცია ამ შეტყობინების შესახებ დაყოვნების გარეშე უნდა გამოაქვეყნოს კომისიამ *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში*, აგრეთვე ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როდის განხორციელდა ვიზის მოთხოვნა და მითითება შესაბამისი სამგზავრო დოკუმენტების და ვიზების სახეებზე.

თუ მესამე ქვეყანა გააუქმებს ვიზის მოთხოვნას ამ პუნქტის პირველ აბზაცში მითითებული ვადის გასვლამდე, მაშინ შეტყობინება არ უნდა გაკეთდეს ან უნდა მოხდეს მისი უკან გაწვევა და ინფორმაცია არ უნდა გამოქვეყნდეს.

(b) „ა“ პუნქტის მესამე აბზაცში მითითებული გამოქვეყნების თარიღიდან დაუყოვნებლივ და შესაბამის წევრ სახელმწიფოსთან კონსულტაციით, კომისია იღებს ზომებს შესაბამისი მესამე ქვეყნის ხელისუფლებასთან ერთად, კერძოდ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კომერციულ სფეროებში იმისათვის, რომ აღდგენილ ან შემოღებულ იქნას უვიზო

² OJ L 327, 19.12.1994, გვ. 1.

მიმოსვლა. ამ ნაბიჯების შესახებ კომისია დაყოვნების გარეშე აცნობებს ევროპის პარლამენტს და საბჭოს.

- (c) თუ „ა“ პუნქტის მესამე აბზაცში მითითებული გამოქვეყნების თარიღიდან 90 დღის ვადაში და მიუხედავად „ბ“ პუნქტში მითითებული ყველა ღონისძიების გატარებისა მესამე ქვეყანა არ გააუქმებს ვიზის მოთხოვნას, შესაბამის წევრ სახელმწიფოს შეუძლია მოსთხოვოს კომისიას, რომ მან შეუჩეროს უვიზო მიმოსვლა ამ მესამე ქვეყნის ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეებს. თუ წევრი სახელმწიფო ასეთ მოთხოვნას წარუდგენს კომისიას, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს ევროპის პარლამენტს და საბჭოს.
- (d) „ე“, „ფ“ ან „ხ“ პუნქტების საფუძველზე შემდგომი ღონისძიებების განხილვისას კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს შესაბამის მესამე ქვეყანასთან უვიზო მიმოსვლის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგები, „ბ“ პუნქტის საფუძველზე გატარებული ღონისძიებები და უვიზო მიმოსვლის შეჩერებით გამოწვეული ზეგავლენა ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების ურთიერთობებზე შესაბამის მესამე ქვეყანასთან;
- (e) თუ შესაბამისმა მესამე ქვეყანამ არ გააუქმა ვიზის მოთხოვნა, „ა“ პუნქტის მესამე აბზაცში მითითებული გამოქვეყნების თარიღიდან არაუგვიანეს 6 თვისა და შემდგომ არაუმეტეს 6-თვიან პერიოდებში, მაგრამ მთლიანობაში იმ პერიოდის მანძილზე, რომელიც არ უნდა გადაცდეს „ფ“ პუნქტში მითითებული დელეგირებული აქტის ძალაში შესვლის თარიღს ან მისი გაპროტესტების თარიღს, კომისია:
- (i) შესაბამისი წევრი სახელმწიფოს შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღებს შემსრულებელ აქტს, რომლითაც შეჩერდება უვიზო მიმოსვლა შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეებისთვის ვადით 6 თვემდე. ამ შესრულებელ აქტში განსაზღვრული უნდა იყოს თარიღი, მისი ძალაში შესვლიდან 90 დღის ფარგლებში, როდესაც უნდა შევიდეს ძალაში უვიზო მიმოსვლის შეჩერება. [ამ თარიღის განსაზღვრისას] მხედველობაში უნდა იქნას მიღებული წევრი სახელმწიფოების საკონსულოების რესურსები. მომდევნო შემსრულებელი აქტების მიღებისას კომისიას შეუძლია გააგრძელოს შეჩერების პერიოდი დამატებით 6 თვემდე პერიოდებით და შეუძლია შეცვალოს შესაბამისი მესამე ქვეყნის მოქალაქეთა კატეგორიები, რომლებზეც ვრცელდება უვიზო მიმოსვლის შეჩერება.
- ზემოაღნიშნული შემსრულებელი აქტები მიიღება 4a(2) მუხლში მითითებული მოკვლევის პროცედურის გზით. იმ პირობით, რომ მე-4 მუხლი მოქმედებს სრულად, მესამე ქვეყნის მოქალაქეების ყველა კატეგორიას, რომელიც მითითებულია შემსრულებელ აქტში, შეჩერების პერიოდში მოეთხოვება ვიზა წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრების გადაკვეთისას; ან
- (ii) 4a(2) მუხლში მითითებულ კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს, რომელშიც შეფასებული იქნება ვითარება და განმარტებული იქნება მიზეზები, რის გამოც გადაწყდა უვიზო მიმოსვლის შეჩერება. [კომისია] ამის შესახებ აცნობებს ევროპის პარლამენტს და საბჭოს.
- ანგარიშში ასახული უნდა იყოს ყველა შესაბამისი ფაქტორი, როგორცაა „d“ პუნქტში მითითებული ფაქტორები. ევროპის პარლამენტმა და საბჭომ შეიძლება გამართონ პოლიტიკური დისკუსია ამ ანგარიშთან დაკავშირებით.
- (f) თუ „ა“ პუნქტის მესამე აბზაცში მითითებული გამოქვეყნების თარიღიდან 24 თვის ვადაში შესაბამისი მესამე ქვეყანა არ გააუქმებს ვიზის მოთხოვნას, კომისია მიიღებს დელეგირებულ აქტს 4b მუხლის შესაბამისად, რითაც ამ მესამე ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებაში დროებით შეაჩერებს II დანართის გამოყენებას 12 თვის ვადით.

დელეგირებულ აქტში განსაზღვრული უნდა იყოს თარიღი, მისი ძალაში შესვლიდან 90 დღის ფარგლებში, როდესაც უნდა შევიდეს ძალაში II დანართის გამოყენების შეჩერება. [ამ თარიღის განსაზღვრისას] მხედველობაში უნდა იქნას მიღებული წევრი სახელმწიფოების საკონსულოების რესურსები. დელეგირებულ აქტში ასევე განსაზღვრული უნდა იყოს, რა შესაბამისი ცვლილებები შედის II დანართში. კერძოდ ეს ცვლილება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად: შესაბამისი მესამე ქვეყნის სახელწოდებასთან უნდა ჩაემატოს კომენტარი [footnote], რომელშიც მითითებული იქნება, რომ მესამე ქვეყანასთან მიმართებაში შეჩერებულია უვიზო მიმოსვლა, აგრეთვე შეჩერების ვადა.

„e“ პუნქტის მიხედვით შესაბამის მესამე ქვეყანასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი შემსრულებელი აქტი ძალას დაკარგავს იმ თარიღიდან, როდესაც ძალაში შევა II დანართის გამოყენების შეჩერება ამ მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან როდესაც მოხდება დელეგირებული აქტის გაპროტესტება 4b(5) მუხლის მიხედვით.

თუ კომისია შეიტანს „h“ პუნქტში აღნიშნულ საკანონმდებლო წინადადებას, ამ პუნქტის პირველ აბზაცში მითითებული შეჩერების პერიოდი გაგრძელდება 6 თვით. აღნიშნულ აბზაცში მითითებულ კომენტარში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

იმ პირობით, რომ მე-4 მუხლი მოქმედებს სრულად, შეჩერების პერიოდებში შესაბამისი მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ეხება დელეგირებული აქტი, მოეთხოვება ვიზა წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრების გადაკვეთისას.

- (g) თუ რომელიმე სხვა წევრი სახელმწიფო „a“ პუნქტის მიხედვით შემდგომში გააკეთებს შეტყობინებას იგივე მესამე ქვეყანასთან დაკავშირებით იმ პერიოდში, როდესაც მოქმედებს „e“ ან „f“ პუნქტის საფუძველზე ამ მესამე ქვეყანასთან დაკავშირებით მიღებული ღონისძიებები, ასეთი შეტყობინებები გაერთიანდება მიმდინარე წარმოების სახით ისე, რომ ზემოაღნიშნულ პუნქტებში მითითებული თარიღები და ვადები არ გადაიწვეს.
- (h) თუ „f“ პუნქტში მითითებული დელეგირებული აქტის ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში შესაბამისი მესამე ქვეყანა არ გააუქმებს ვიზის მოთხოვნას, კომისიას შეუძლია წარადგინოს საკანონმდებლო წინადადება და მოითხოვოს ამ რეგულაციაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, რომ მესამე ქვეყანა გადატანილი იქნას II დანართიდან I დანართში.
- (i) „e“, „f“ და „h“ პუნქტებში მითითებული პროცედურები ხელს არ უშლის კომისიის უფლებას, რომ ნებისმიერ დროს წარადგინოს საკანონმდებლო წინადადება ამ რეგულაციაში ცვლილების შეტანის თაობაზე იმ მიზნით, რომ შესაბამისი მესამე ქვეყანა გადატანილი იქნას II დანართიდან I დანართში.
- (j) თუ შესაბამისი მესამე ქვეყანა გააუქმებს ვიზის მოთხოვნას, შესაბამისი წევრი სახელმწიფო ამის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს ევროპის პარლამენტს, საბჭოს და კომისიას. კომისიამ ეს შეტყობინება დაყოვნების გარეშე უნდა გამოაქვეყნოს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში.

„e“ და „f“ პუნქტების საფუძველზე მიღებული ნებისმიერი შემსრულებელი აქტი ან დელეგირებული აქტი შესაბამის მესამე ქვეყანასთან დაკავშირებით ძალას დაკარგავს ამ პუნქტის პირველ აბზაცში მითითებული გამოქვეყნებიდან შვიდი დღის შემდეგ. თუ შესაბამისი მესამე ქვეყანას ვიზის მოთხოვნა შემოღებული აქვს ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოსთან მიმართებაში, ამ მესამე ქვეყანასთან დაკავშირებით არსებული შემსრულებელი აქტი ან დელეგირებული აქტი ძალას დაკარგავს შვიდის დღის შემდეგ იმ შეტყობინების გამოქვეყნებიდან, რომელიც ეხებოდა უკანასკნელ წევრ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეებზეც შესაბამისმა მესამე ქვეყანამ გაავრცელა ვიზის მოთხოვნა. „f“ პუნქტის პირველ აბზაცში მითითებული კომენტარი უნდა წაიშალოს შესაბამისი

დელეგირებული აქტის ძალის დაკარგვისთანავე. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დელეგირებული აქტი ძალადაკარგულია, კომისიამ დაყოვნების გარეშე უნდა გამოაქვეყნოს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში.

თუ შესაბამისი მესამე ქვეყანა ვიზის მოთხოვნას გააუქმებს წევრი სახელმწიფოს მიერ ამ პუნქტის პირველი აბზაცით გათვალისწინებული შეტყობინების გარეშე, კომისია საკუთარი ინიციატივით დაყოვნების გარეშე განახორციელებს აღნიშნულ აბზაცში მითითებულ გამოქვეყნებას და შესაბამისად გამოიყენება ამ პუნქტის მეორე აბზაცი.

მუხლი 1a

1. 1(2) მუხლით გათვალისწინებული წესის გამონაკლისის სახით, II დანართში მითითებული მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლა შეიძლება დროებით შეჩერდეს ამ მუხლის მიხედვით, შესაბამისი და ობიექტური მონაცემების საფუძველზე.
2. წევრ სახელმწიფოს შეუძლია შეატყობინოს კომისიას, რომ იგი იმყოფება ერთი ან მეტი ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოების წინაშე ორი თვის განმავლობაში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით ან II დანართში მითითებული მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის განხორციელებამდე ბოლო ორ თვესთან შედარებით:
 - (a) მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ მესამე ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა, რომლებსაც უარს ეუბნებიან შესვლაზე ან რომლებიც იმყოფებიან წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე საამისო უფლების გარეშე;
 - (b) მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ მესამე ქვეყნის მოქალაქეებისგან თავშესაფრის მოთხოვნების რაოდენობა და ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი დაბალია;
 - (c) შემცირდა ამ მესამე ქვეყანასთან რეადმისიის სფეროში თანამშრომლობა, რაც დასტურდება შესაბამისი მონაცემებით, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა რეადმისიის განაცხადებზე უარის თქმის მაჩვენებელი, როდესაც წევრი სახელმწიფო ითხოვს მესამე ქვეყნის მიერ თავისივე მოქალაქეების რეადმისიას ან - თუ ევროკავშირს ან ამ წევრ სახელმწიფოსა და შესაბამის მესამე სახელმწიფოს შორის დადებული რეადმისიის ხელშეკრულება ითვალისწინებს ამას - ეს წევრი სახელმწიფო ითხოვს ამ მესამე ქვეყანაზე ტრანზიტით გამავალი სხვა მესამე ქვეყნის მოქალაქეების რეადმისიას;
 - (d) გაიზარდა რისკი ან გარდაუვალი საფრთხე შეექმნა წევრი სახელმწიფოების საჯარო წესრიგს ან შიდა უსაფრთხოებას, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა მძიმე დანაშაულების ჩადენის შემთხვევები და ეს დაკავშირებულია ამ მესამე ქვეყნის მოქალაქეებთან, რაც დადასტურებულია კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი კონკრეტული და საქმესთან შემხებლობაში მყოფი ინფორმაციით და მონაცემებით.

პირველ აბზაცში მითითებულ შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს მისი საფუძველები და საქმესთან შემხებლობაში მყოფი ყველა მონაცემი და სტატისტიკა, აგრეთვე ინფორმაცია იმ წინასწარი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ გაატარა ვითარების გამოსწორების მიზნით. წევრ სახელმწიფოს შეუძლია ასეთ შეტყობინებაში დააზუსტოს, მესამე ქვეყნის მოქალაქეების რომელ კატეგორიაზე უნდა გავრცელდეს მე-4 პუნქტის (a) პუნქტში მითითებული შემსრულებელი აქტი და დეტალურად განმარტოს ამის მიზეზები. კომისია ასეთი შეტყობინების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ევროპის პარლამენტს და საბჭოს.

2a. იმ შემთხვევაში, თუ ყველა შესაბამისი მონაცემის, ანგარიშის და სტატისტიკიდან გამომდინარე, კომისიას აქვს კონკრეტული და სარწმუნო ინფორმაცია მე-2 პუნქტის „a“, „b“, „c“ ან „d“ პუნქტებში მითითებული გარემოებების შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვს ერთ ან მეტ წევრ სახელმწიფოში ან რომ მესამე ქვეყანა არ თანამშრომლობს რეადმისიის საკითხში, განსაკუთრებით როდესაც რეადმისიის ხელშეკრულება დადებულია ამ მესამე ქვეყანასა და ევროკავშირს შორის, მაგალითად:

- უარს ამბობს განხილვაზე ან დროულად არ განიხილავს რეადმისიის მოთხოვნებს
 - არ გასცემს სამგზავრო დოკუმენტებს დროულად, რათა დაბრუნება მოხდეს რეადმისიის ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში ან არ იღებს ევროპულ სამგზავრო დოკუმენტებს, რომლებიც გაცემულია რეადმისიის ხელშეკრულებაში მითითებული ვადების გასვლის შემდეგ; ან
 - წყვეტს ან აჩერებს რეადმისიის ხელშეკრულებას,
- კომისია უმოკლეს დროში აცნობებს ევროპის პარლამენტს და საბჭოს აღნიშნულის შესახებ, შესაბამის დასკვნასთან ერთად, რა შემთხვევაშიც გამოიყენება მე-4 პუნქტის დებულებები.

2b. კომისია აწარმოებს იმ კონკრეტული მოთხოვნების შესრულების მონიტორინგს (რომლებიც ეფუძნება „-1“ მუხლს და რომელთა საფუძველზეც შეფასდა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მინიჭების მიზანშეწონილობა) იმ მესამე ქვეყნების მიერ, რომელთა მოქალაქეები გათავისუფლდნენ სავიზო ვალდებულებებისგან წევრ სახელმწიფოებში გადაადგილებისას, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის თაობაზე დიალოგის წარმატებით დასრულების შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა ევროკავშირსა და ამ მესამე ქვეყანას შორის.

გარდა ამისა, კომისია რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს ევროპის პარლამენტს და საბჭოს სულ ცოტა წელიწადში ერთხელ ამ მესამე ქვეყნისათვის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ძალაში შესვლის თარიღიდან შვიდი წლის განმავლობაში და მის შემდეგაც, როცა კომისია საჭიროდ ჩათვლის ან როცა ევროპის პარლამენტი ან საბჭო მოითხოვს. ანგარიში მომზადდება იმ მესამე ქვეყნების შესახებ, რომლებთან დაკავშირებით საბჭოს მიაჩნია, კონკრეტული და სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე, რომ ზოგიერთი მოთხოვნა მათ მიერ აღარ სრულდება.

თუ კომისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ერთი ან მეტი კონკრეტული მოთხოვნა აღარ სრულდება ამა თუ იმ მესამე ქვეყნის მიერ, გამოიყენება მე-4 პუნქტი.

3. კომისია განიხილავს მე-2 პუნქტის მიხედვით გაკეთებულ შეტყობინებას, რა დროსაც მხედველობაში იღებს:

- (a) სახეზეა თუ არა მე-2 პუნქტში მითითებული გარემოებები;
- (b) რა რაოდენობის წევრ სახელმწიფოებზე იქონია გავლენა მე-2 მუხლში აღნიშნულმა გარემოებებმა;
- (c) რა ზოგადი გავლენა იქონია მე-2 პუნქტში მითითებულმა გარემოებებმა ევროკავშირში მიგრაციის მდგომარეობაზე, რაც ირკვევა წევრი სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი მონაცემების, ან კომისიის ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე;
- (d) ანგარიშებს, რომლებიც მომზადებულია ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის, ევროპის თავშესაფრის მხარდამჭერი ოფისის ან ევროპის პოლიციის (ევროპოლის) ან ევროკავშირის სხვა დაწესებულების, ორგანოს, ოფისის ან სააგენტოს მიერ ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელიც კომპეტენტურია ამ რეგულაციით გათვალისწინებულ საკითხებში, თუ კონკრეტული საქმის გარემოებები ამას მოითხოვს;

- (e) მინიშნებებს, რომლებიც შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ გააკეთა თავის შეტყობინებაში მე-4 პუნქტის „ა“ პუნქტში მითითებულ შესაძლო ღონისძიებებთან დაკავშირებით;
 - (f) საჯარო წესრიგისა და შიდა უსაფრთხოების საკითხებს ზოგადად, შესაბამის წევრ სახელმწიფოსთან კონსულტაციით.
- კომისია განხილვის შედეგებს აცნობებს ევროპის პარლამენტს და საბჭოს.

4. თუ 2a პუნქტში მითითებული ანალიზის, 2b პუნქტში მითითებული ანგარიშის ან მე-3 პუნქტში მითითებული განხილვის საფუძველზე, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რა შედეგები ექნება უვიზო მიმოსვლის შეჩერებას ევროკავშირის და მისი წევრი სახელმწიფოების საგარეო ურთიერთობებზე ამ მესამე ქვეყანასთან, გრძელვადიანი ალტერნატიული გამოსავლის მოძიების მიზნით ამ მესამე ქვეყანასთან მჭიდრო თანამშრომლობით, კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ საჭიროა კონკრეტული ქმედება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კომისიამ მიიღო შეტყობინება მე-2 პუნქტის „ა“ „ბ“ „ც“ ან „დ“ პუნქტებში მითითებული გარემოებების არსებობის შესახებ წევრი სახელმწიფოების უბრალო უმრავლესობისგან, მაშინ გამოიყენება შემდეგი დებულებები:

(a) კომისია იღებს შემსრულებელ აქტს, რითაც დროებით შეჩერდება უვიზო მიმოსვლა შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეებისთვის 9 თვის ვადით. შეჩერება შეეხება შესაბამისი მესამე ქვეყნის ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეებს. ასევე უნდა მიეთითოს შესაბამისი სამგზავრო დოკუმენტების სახეები და საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი კრიტერიუმები. ამ კატეგორიების განსაზღვრისას კომისია არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეჩერებაში მოახვედრებს საკმარისად ფართო კატეგორიებს იმისათვის, რომ ეს ღონისძიება იყოს ეფექტური 2, 2a და 2b პუნქტებში მითითებული გარემოებების აღმოსაფხვრელად, მაგრამ ამავე დროს დაცული უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპი. კომისია შემსრულებელ აქტს იღებს ერთ თვის ვადაში მას შემდეგ, რაც:

- (i) მიიღებს მე-2 პუნქტში მითითებულ შეტყობინებას;
- (ii) მისთვის გახდება ცნობილი 2a პუნქტში მითითებული ინფორმაცია;
- (iii) მოხდება 2b პუნქტში მითითებული ანგარიშის წარდგენა; ან
- (iv) მიიღებს შეტყობინებას მე-2 პუნქტის „ა“ „ბ“ „ც“ ან „დ“ პუნქტებში მითითებული გარემოებების არსებობის შესახებ წევრი სახელმწიფოების უბრალო უმრავლესობისგან.

ეს შემსრულებელი აქტი მიღებული უნდა იქნას 4a(2) მუხლში მითითებული გამოკვლევის პროცედურის გზით. მასში განსაზღვრული უნდა იყოს თარიღი, როდესაც ძალაში უნდა შევიდეს უვიზო მიმოსვლის შეჩერება.

შეჩერების პერიოდში კომისია ახორციელებს გაძლიერებულ დიალოგს შესაბამის მესამე ქვეყანასთან შესაბამისი გარემოებების გამოსწორების მიზნით.

(b) თუ 2, 2a და 2b პუნქტებში მითითებული გარემოებები გრძელდება, ამ პუნქტის „ა“ პუნქტში მითითებული 9 თვიანი პერიოდის გასვლამდე არა უგვიანეს 2 თვით ადრე კომისია იღებს დელეგირებულ აქტს 4b მუხლის მიხედვით, რომლითაც დროებით შეაჩერებს II დანართის მოქმედებას შესაბამისი მესამე ქვეყნის ყველა კატეგორიის მოქალაქისთვის 18 თვის ვადით. დელეგირებული აქტი ძალაში შედის ამ პუნქტის „ა“ პუნქტში მითითებული შემსრულებელი აქტის მოქმედების გასვლის თარიღიდან და შესაბამისად ცვლის II დანართს. ეს ცვლილება უნდა განხორციელდეს შესაბამისი მესამე ქვეყნის დასახელების გვერდით კომენტარის ჩამატებით, რომელშიც განმარტებული იქნება, რომ უვიზო მიმოსვლა შეჩერებულია ამ მესამე ქვეყანასთან მიმართებაში და განსაზღვრული იქნება შეჩერების პერიოდი.

იმ შემთხვევაში, თუ კომისია წარადგენს საკანონმდებლო წინადადებას მე-5 პუნქტის მიხედვით, დელეგირებულ აქტში მითითებული შეჩერების ვადა უნდა გაგრძელდეს 6 თვით. კომენტარშიც უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

იმ პირობით, რომ მე-4 მუხლი მოქმედებს სრულად, შეჩერების პერიოდში შესაბამისი მესამე ქვეყნის მოქალაქეებს მოეთხოვებათ ვიზა წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრების გადაკვეთისას.

თუ წევრი სახელმწიფო მე-4 მუხლის საფუძველზე დააწესებს ახალ შეღავათებს სავიზო რეჟიმის გამარტივების მხრივ უვიზო მიმოსვლის შეჩერების შესახებ აქტში მითითებული მესამე ქვეყნის მოქალაქეთა რომელიმე კატეგორიისთვის, მან ასეთი ღონისძიებების შესახებ შეტყობინება უნდა გააკეთოს მე-5 მუხლის მიხედვით.

5. მე-4 პუნქტის „ხ“ პუნქტის მიხედვით გამოცემული დელეგირებული აქტის მოქმედების პერიოდის გასვლამდე კომისია წარუდგენს ანგარიშს ევროპის პარლამენტს და საბჭოს. ანგარიშს შეიძლება თან ახლდეს საკანონმდებლო წინადადება ამ რეგულაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, კერძოდ, რომ შესაბამისი მესამე ქვეყანა გადატანილი იქნას II დანართიდან I დანართში.
6. თუ კომისიამ წარადგინა საკანონმდებლო წინადადება მე-5 პუნქტის მიხედვით, მას შეუძლია გააგრძელოს მე-4 პუნქტის საფუძველზე მიღებული შემსრულებელი აქტის მოქმედება არაუმეტეს 12 თვის ვადით. გადაწყვეტილება შემსრულებელი აქტის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ მიიღება 4a(2) მუხლში მითითებული გამოკვლევის პროცედურის გზით.

მუხლი 1b

2018 წლის 10 იანვრისთვის კომისიამ ევროპის პარლამენტს და საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში, რომელშიც შეფასებული იქნება 1(4) მუხლში მითითებული ნაცვალგების მექანიზმის ეფექტურობა და საჭიროების შემთხვევაში ასევე შეიტანოს საკანონმდებლო წინადადება ამ რეგულაციაში ცვლილების შეტანის შესახებ. ევროპის პარლამენტი და საბჭო ასეთ წინადადებაზე რეაგირებას მოახდენენ ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურებით.

მუხლი 1c

2021 წლის 29 მარტისთვის კომისიამ ევროპის პარლამენტს და საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში, რომელშიც შეფასებული იქნება 1a მუხლში მითითებული შეჩერების მექანიზმის ეფექტურობა და საჭიროების შემთხვევაში ასევე შეიტანოს საკანონმდებლო წინადადება ამ რეგულაციაში ცვლილების შეტანის შესახებ. ევროპის პარლამენტის და საბჭო ასეთ წინადადებაზე რეაგირებას მოახდენენ ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურებით.

მუხლი 2

ამ რეგულაციის მიზნებისთვის, „ვიზა“ ნიშნავს ვიზას იმ მნიშვნელობით, რომელიც მოცემულია „ვიზების შესახებ თანამეგობრობის კოდექსის (სავიზო კოდექსის)“ განსაზღვრის თაობაზე ევროპის პარლამენტის და საბჭოს # (EC) 810/2009 რეგულაციის 2(2)(a) მუხლში.³

³ OJ L 243, 15.9.2009, გვ. 1.

მუხლი 4

1. წევრ სახელმწიფოს შეუძლია დაადგინოს გამონაკლისები 1(1) მუხლით გათვალისწინებული ვიზის მოთხოვნიდან ან 1(2) მუხლით გათვალისწინებული უვიზო მიმოსვლის წესიდან შემდეგი პირებისთვის:
 - (a) დიპლომატიური, სამსახურებრივი/ოფიციალური ან სპეციალური პასპორტის მფლობელები;
 - (b) სამოქალაქო საავიაციო და საზღვაო ეკიპაჟების წევრები თავიანთი მოვალეობის შესრულებისას;
 - (c) სამოქალაქო საზღვაო ეკიპაჟების წევრები ნაპირზე გადმოსვლისას, რომლებიც ფლობენ მეზღვაურის დოკუმენტს, რომელიც გაცემულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1958 წლის 13 მაისის #108 ან 2003 წლის 16 ივნისის #185 კონვენციების შესაბამისად ან საერთაშორისო საზღვაო ნაოსნობის ხელშეწყობის შესახებ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 1965 წლის 9 აპრილის კონვენციის შესაბამისად;
 - (d) საგანგებო და სამაშველო მისიების ეკიპაჟები და წევრები კატასტროფის ან უბედური შემთხვევის დროს;
 - (e) საერთაშორისო შიდა წყლებში მოცურავე გემების სამოქალაქო ეკიპაჟი;
 - (f) ისეთი სამგზავრო დოკუმენტების მფლობელები, რომლებიც გაცემულია მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომლის წევრი არის [ევროკავშირის] ერთი წევრი სახელმწიფო მაინც ან სხვა სუბიექტების მიერ, რომლებიც შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ აღიარებულია საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, ხოლო ეს სამგზავრო დოკუმენტები გაცემულია თვით ამ ორგანიზაციების ან სუბიექტების თანამდებობის პირებზე.

2. წევრ სახელმწიფოს ვიზის მოთხოვნისგან შეუძლია გაათავისუფლოს:
 - (a) სკოლის მოსწავლე, რომელსაც აქვს I დანართში მითითებული მესამე ქვეყნის მოქალაქეობა და ცხოვრობს II დანართში მითითებულ მესამე ქვეყანაში ან შვეიცარიაში და ლიხტენშტეინში და მიემგზავრება სასკოლო ექსკურსიის ფარგლებში, როგორც სკოლის მოსწავლეთა ჯგუფის წევრი და თან ახლავს შესაბამისი სკოლის მასწავლებელი;
 - (b) ლტოლვილის და მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მქონე პირები, თუ მესამე ქვეყანა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და რომელმაც მასზე გასცა სამგზავრო დოკუმენტი, მითითებულია II დანართში, როგორც ერთ-ერთი მესამე სახელმწიფო;
 - (c) შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, რომლებიც მიემგზავრებიან NATO-ს ან „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში და ფლობენ პირადობის დამადასტურებელ და გადაადგილების ბრძანებებს, რომლებიც გაცემულია *ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრებს შორის „მათი სამხედრო ძალების სტატუსის შესახებ“ 1951 წლის 19 ივნისის შეთანხმების* საფუძველზე;
 - (d) იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია 1959 წლის 20 აპრილს ქალაქ სტრასბურგში ხელმოწერილი *ევროპული შეთანხმებით ლტოლვილებისთვის ვიზების გაუქმების შესახებ*, ლტოლვილის და მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მქონე პირები და სხვა პირები, რომელთაც არ აქვთ არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა, ცხოვრობენ დიდ ბრიტანეთში ან ირლანდიაში და ფლობენ დიდი ბრიტანეთის ან ირლანდიის მიერ გაცემულ სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც გაცემულია შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ.

- წევრს სახელმწიფოს შეუძლია დააწესოს გამონაკლისები 1(2) მუხლით გათვალისწინებული უვიზო მიმოსვლიდან იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც ანაზღაურებად საქმიანობას ეწევიან მათი იქ ყოფნის პერიოდში.

მუხლი 4a

- კომისიას დახმარებას უწევს კომიტეტი. კომიტეტი ნიშნავს კომიტეტს იმ მნიშვნელობით, რომელიც მოცემულია ევროპის პარლამენტის და საბჭოს # (EU) No 182/2011 რეგულაციაში.⁴
- როდესაც მითითება არის ამ პუნქტზე, გამოიყენება # (EU) No 182/2011 რეგულაციის მე-5 მუხლი.
- თუ კომიტეტი არ წარმოადგენს დასკვნას, მაშინ კომისიამ არ უნდა მიიღოს შემსრულებელი აქტის პროექტი და ამ შემთხვევაში გამოიყენება # (EU) No 182/2011 რეგულაციის 5(4) მუხლი.

მუხლი 4b

- დელეგირებული აქტების მიღების უფლება კომისიას ენიჭება ამ მუხლით დადგენილი პირობებით.
- 1(4) მუხლის „f“ პუნქტში მითითებული დელეგირებული აქტების მიღების უფლება კომისიას ენიჭება 5 წლის ვადით, დაწყებული 2014 წლის 9 იანვრიდან. კომისია მოამზადებს ანგარიშს უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე არა უგვიანეს 9 თვისა ამ ხუთწლიანი პერიოდის გასვლამდე. დელეგირებული უფლებამოსილების გაგრძელებაზე მდუმარე თანხმობის შემთხვევაში უფლებამოსილება გაგრძელდება იმავე ვადით, თუ ევროპის პარლამენტი ან საბჭო არ გამოხატავს წინააღმდეგობას ამის თაობაზე არა უგვიანეს სამი თვით ადრე თითოეული პერიოდის დასასრულამდე.
- 2a. 1a (4) მუხლის „b“ პუნქტში მითითებული დელეგირებული აქტების მიღების უფლება კომისიას ენიჭება 5 წლის ვადით, დაწყებული 2017 წლის 28 მარტიდან. კომისია მოამზადებს ანგარიშს უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე არა უგვიანეს 9 თვისა ამ ხუთწლიანი პერიოდის გასვლამდე. დელეგირებული უფლებამოსილების გაგრძელების თაობაზე მდუმარე თანხმობის შემთხვევაში უფლებამოსილება გაგრძელდება იმავე ვადით, თუ ევროპის პარლამენტი ან საბჭო არ გამოხატავს წინააღმდეგობას ამის თაობაზე არა უგვიანეს სამი თვით ადრე თითოეული პერიოდის დასასრულამდე.
3. 1(4) მუხლის „f“ პუნქტში და 1a(4) მუხლის „b“ პუნქტში მითითებული დელეგირების უფლებამოსილება შეიძლება ნებისმიერ დროს უკან გაიხმოს ევროპის პარლამენტმა ან საბჭომ. გადაწყვეტილება უკან გახმობის შესახებ წყვეტს ამ გადაწყვეტილებაში მითითებულ უფლებამოსილების დელეგირებას. შეწყვეტა ძალაში შედის გადაწყვეტილების *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* გამოქვეყნებიდან მომდევნო დღეს ან უფრო მოგვიანებით, თუ გადაწყვეტილებაში სხვა თარიღია განსაზღვრული. ეს შეწყვეტა არ იმოქმედებს სხვა, ძალაში მყოფი დელეგირებული აქტების მოქმედებაზე.

⁴ ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2011 წლის 16 თებერვლის რეგულაცია # (EU) 182/2011, რომელიც აწესებს კომისიის მიერ შემსრულებელი უფლებამოსილებების განხორციელებაზე წევრი სახელმწიფოების კონტროლის მექანიზმების მარეგულირებელ წესებს და ზოგად პრინციპებს (OJ L 55, 28.2.2011, გვ. 13).

- 3a. დელეგირებული აქტის მიღებამდე კომისია კონსულტაციებს გადის ექსპერტებთან, რომლებსაც ნიშნავს თითოეული წევრი სახელმწიფო უკეთესი კანონშემოქმედების შესახებ 2016 წლის 13 აპრილის უწყებათაშორის ხელშეკრულებაში მითითებული პრინციპების მიხედვით.⁵
4. დელეგირებული აქტის მიღებისთანავე კომისია ერთდროულად აცნობებს ამის შესახებ ევროპის პარლამენტს და საბჭოს.
5. 1(4) მუხლის „f“ პუნქტში მითითებული დელეგირებული აქტი ძალაში შევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროპის პარლამენტი ან საბჭო პროტესტს არ გამოხატავენ 4 თვის განმავლობაში ევროპის პარლამენტისთვის და საბჭოსთვის ამ აქტის შეტყობინებიდან ან თუ ამ პერიოდის გასვლამდე ევროპის პარლამენტმა და საბჭომაც კომისიას აცნობეს, რომ ისინი პროტესტს არ გამოხატავენ. ეს პერიოდი გაგრძელდება 2 თვით ევროპის პარლამენტის ან საბჭოს ინიციატივით.
6. 1a(4) მუხლის „b“ პუნქტში მითითებული დელეგირებული აქტი ძალაში შევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროპის პარლამენტი ან საბჭო პროტესტს არ გამოხატავენ 2 თვის განმავლობაში ევროპის პარლამენტისთვის და საბჭოსთვის ამ აქტის შეტყობინებიდან ან თუ ამ პერიოდის გასვლამდე ევროპის პარლამენტმა და საბჭომაც კომისიას აცნობეს, რომ ისინი პროტესტს არ გამოხატავენ.

მუხლი 5

1. რეგულაციის ძალაში შესვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში წევრი სახელმწიფოები სხვა წევრ სახელმწიფოებს და კომისიას ატყობინებენ იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მათ გაატარეს მე-3 მუხლის მეორე აბზაცის და მე-4 მუხლის მიხედვით. მსგავსად ამისა, ამ ღონისძიებებში ნებისმიერი შემდგომი ცვლილება უნდა ეცნობოს 5 სამუშაო დღის ვადაში.
2. კომისია პირველი პუნქტის მიხედვით შეტყობინებულ ღონისძიებებს გამოაქვეყნებს *ევროპული თანამეგობრობის ოფიციალურ ჟურნალში*, საინფორმაციო მიზნებით.

მუხლი 6

ეს რეგულაცია ზეგავლენას არ ახდენს წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებაზე სახელმწიფოების და ტერიტორიული ერთეულების, აგრეთვე [ამ სახელმწიფოებისა და ტერიტორიული ერთეულების მიერ] გაცემული პასპორტების, სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების სფეროში.

მუხლი 7

1. წინამდებარე რეგულაცია ჩაანაცვლებს საბჭოს რეგულაციას # (EC) No 574/1999.⁶

⁵ OJ L 123, 12.5.2016, გვ. 1.

⁶ OJ L 72, 18.3.1999, გვ. 2.

2. ერთიანი საკონსულო ინსტრუქციის (CCI) და ერთიანი სახელმძღვანელოს (CM) ბოლო ვერსიებში, რომლებიც გამომდინარეობენ შენგენის აღმასრულებელი კომიტეტის 1999 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებიდან (SCH/Com-ex(99) 13), შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:
1. CCI-ში დანართი 1-ის ნაწილი I-ის სათაური და CM-ის დანართი 5-ის ნაწილი I-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „იმ მესამე ქვეყნების საერთო სია, რომელთა მოქალაქეებს მოეთხოვება ვიზა (EC) No 539/2001 რეგულაციის საფუძველზე“
 2. CCI-ში დანართი 1-ის ნაწილი I-ის სია და CM-ის დანართი 5-ის ნაწილი I-ის სია შეიცვალოს იმ სიით, რომელიც დანართი I-ის სახით ერთვის ამ რეგულაციას;
 3. CCI-ში დანართი 1-ის ნაწილი II-ის სათაური და CM-ის დანართი 5-ის ნაწილი II-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „იმ მესამე ქვეყნების საერთო სია, რომელთა მოქალაქეები გათავისუფლებული არიან ვიზის მოთხოვნისგან (EC) No 539/2001 რეგულაციის საფუძველზე“;
 4. CCI-ში დანართი 1-ის ნაწილი II-ის სია და CM-ის დანართი 5-ის ნაწილი II-ის სია შეიცვალოს იმ სიით, რომელიც დანართი II-ის სახით ერთვის ამ რეგულაციას;
 5. CCI-ში დანართი 1-ის ნაწილი III და CM-ის დანართი 5-ის ნაწილი III ამოღებულ იქნას.
3. გაუქმდეს შენგენის აღმასრულებელი კომიტეტის 1997 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება SCH/Com-ex(97)32) და 1998 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება (SCH/Com-ex(98)53, rev.2).

მუხლი 8

ეს რეგულაცია ძალაში შედის მისი *ევროპული თანამეგობრობის ოფიციალურ ჟურნალში* გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს.

ეს რეგულაცია სრულად სავალდებულოა და პირდაპირ გამოიყენება წევრ სახელმწიფოებში, *ევროპული თანამეგობრობის შექმნის შესახებ ხელშეკრულების* თანახმად.

▼B

I დანართი

1-ელი მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული ერთიანი სია

1. სახელმწიფოები

ავღანეთი

▼M7 _____

▼B

ალჟირი

ანგოლა

▼M5 _____

▼B

სომხეთი

აზერბაიჯანი

▼M5 _____

▼B

ბაჰრეინი

ბანგლადეში

▼M5 _____

▼B

ბელარუსი

ბელიზი

ბუტანი

ბენინი

▼M5

ბოლივია

▼M7 _____

▼B

ბოტსვანა

ბურკინა ფასო

მიანმარი

ბურუნდი

კამბოჯა

კამერუნი

კაპე ვერდე

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა

ჩადი

ჩინეთი

[▼M13](#) _____

[▼B](#)

კონგო

კოტ დიუარი

კუბა

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

ჯიბუტი

[▼M13](#) _____

[▼B](#)

დომინიკის რესპუბლიკა

[▼M5](#) _____

[▼M2](#)

ეკვადორი

[▼B](#)

ეგვიპტე

ეკვატორული გვინეა

ერიტრეა

ეთიოპია

[▼M5](#) _____

[▼B](#)

ფიჯი

[▼M6](#) _____

[▼B](#)

გაბონი

გამბია

განა

[▼M13](#) _____

[▼B](#)

გვინეა

გვინეა-ბისაუ

გაიანა

ჰაიტი

ინდოეთი

ინდონეზია

ირანი

ერაყი

იამაიკა

იორდანია

ყაზახეთი

კენია

[▼M13](#) _____

[▼B](#)

ქუვეითი

ყირგიზეთი

ლაოსი

ლიბანი

ლესოტო

ლიბერია

ლიბია

მადაგასკარი

მალავი

მალდივები

მალი

[▼M13](#) _____

[▼B](#)

მავრიტანია

[▼M5](#) _____

[▼M13](#) _____

[▼M12](#) _____

[▼B](#)

მონღოლეთი

[▼M6](#) _____

[▼B](#)

მაროკო

მოზამბიკი

ნამიბია

[▼M13](#) _____

[▼B](#)

ნეპალი

ნიგერი

ნიგერია

ჩრდილოეთ კორეა

[▼M8](#) _____

[▼B](#)

ომანი

პაკისტანი

[▼M13](#) _____

[▼B](#)

პაპუა ახალი გვინეა

[▼M13](#) _____

[▼B](#)

ფილიპინები

კატარი

რუსეთი

რუნდა

[▼M5](#) _____

[▼M13](#) _____

[▼B](#)

სან-ტომე და პრინსიპი

საუდის არაბეთი

სენეგალი

[▼M6](#) _____

[▼M5](#) _____

[▼B](#)

სიერა ლეონე

[▼M13](#) _____

[▼B](#)

სომალი

სამხრეთ აფრიკა

[▼M13](#)

სამხრეთ სუდანი

[▼B](#)

შრი-ლანკა

სუდანი

სურინამი

სვაზილენდი

სირია

ტაჯიკეთი

ტანზანია

ტაილანდი

კომორის კუნძულები

[▼M13](#) _____

[▼B](#)

ტოგო

[▼M13](#) —————

[▼B](#)

ტუნისი

თურქეთი

თურქმენეთი

[▼M13](#) —————

[▼B](#)

უგანდა

უკრაინა

[▼M13](#) —————

[▼B](#)

უზბეკეთი

[▼M13](#) —————

[▼B](#)

ვიეტნამი

[▼M5](#) —————

[▼B](#)

იემენი

ზამბია

ზიმბაბვე

2. სუბიექტები და ტერიტორიული ორგანოები, რომლებსაც არ აღიარებს სულ მცირე, ერთი წევრი სახელმწიფო:

[▼M2](#) —————

[▼M6](#)

კოსოვო, როგორც ეს განსაზღვრულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1999 წლის 10 ივნისის N1244 რეზოლუციით

[▼B](#)

პალესტინის ავტონომია

[▼M8](#) —————

[▼M13](#) —

[▼B](#)

დანართი II

1-ელი მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ერთიანი სია

1. სახელმწიფოები

[▼M7](#)

ალბანეთი (7)

[▼B](#)

ანდორა

[▼M5](#)

ანტიგუა და ბარბუდა (8)

[▼B](#)

არგენტინა

ავსტრალია

[▼M5](#)

ბაჰამის კუნძულები (8)

ბარბადოსი (8)

[▼M5](#) —

[▼M7](#)

ბოსნია და ჰერცეგოვინა (7)

[▼B](#)

ბრაზილია

[▼M5](#)

ბრუნეი

[▼M4](#) —

[▼B](#)

⁷ სავიზო ვალდებულებისაგან გათავისუფლება ვრცელდება მხოლოდ ბიომეტრული პასპორტების მფლობელებზე

⁸ სავიზო ვალდებულებისაგან გათავისუფლება გავრცელდება მას შემდეგ, რაც ძალაში შევა შეთანხმება უვიზო მიმოსვლის შესახებ, რომელიც უნდა გაფორმდეს ევროკავშირთან

კანადა

ჩილე

[▼M13](#)

კოლუმბია ⁽⁹⁾

[▼B](#)

კოსტა რიკა

[▼M9](#) _____

[▼A1](#)

[▼M13](#)

დომინიკის რესპუბლიკა ⁽⁹⁾

[▼M2](#) _____

[▼A1](#)

[▼M6](#)

ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია ⁽¹⁰⁾

[▼M15](#)

საქართველო ⁽¹¹⁾

[▼M13](#)

გრენადა ⁽⁹⁾

[▼B](#)

გვატემალა

წმინდა საყდარი

ჰონდურასი

[▼A1](#)

[▼B](#)

ისრაელი

იაპონია

[▼M13](#)

⁹ სავიზო ვალდებულებისაგან გათავისუფლება გავრცელდება მას შემდეგ, რაც ძალაში შევა შეთანხმება უვიზო მიმოსვლის შესახებ, რომელიც უნდა გაფორმდეს ევროკავშირთან

¹⁰ სავიზო ვალდებულებისაგან გათავისუფლება ვრცელდება მხოლოდ ბიომეტრიული პასპორტების მფლობელებზე

¹¹ ვიზის მოთხოვნისგან გათავისუფლება იქნება შეზღუდული და გავრცელდება მხოლოდ ბიომეტრიული პასპორტების მფლობელებისთვის, რომლებიც გაცემულია საქართველოს მიერ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტების შესაბამისად.

კირიბატი (8)

[▼A1](#)

[▼B](#)

მალაიზია

[▼A1](#)

[▼M13](#)

მარშალის კუნძულები (8)

[▼M5](#)

მავრიკიის რესპუბლიკა (8)

[▼B](#)

მექსიკა

[▼M13](#)

მიკრონეზია (9)

[▼M12](#)

მოლდოვის რესპუბლიკა ⁽¹²⁾

[▼B](#)

მონაკო

[▼M6](#)

მონტენეგრო (10)

[▼M13](#)

ნაურუ (9)

[▼B](#)

ახალი ზელანდია

ნიკარაგუა

[▼M13](#)

პალაუ (9)

[▼B](#)

პანამა

¹² ვიზის მოთხოვნისგან გათავისუფლება იქნება შეზღუდული და იგი გავრცელდება მხოლოდ ბიომეტრიული პასპორტების მფლობელებისთვის, რომლებიც გაცემულია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტების შესაბამისად.

პარაგვაი

[▼M13](#)

პერუ (9)

[▼A1](#)

[▼M4](#) _____

[▼M5](#)

სენტ-კიტსი და ნევისის ფედერაცია (8)

[▼M13](#)

სენტ ლუსია (9)

სენტ ვინსენტი და გრენადინები (9)

[▼B](#)

სალვადორი

[▼M13](#)

სამოა (9)

[▼B](#)

სან მარინო

[▼M6](#)

სერბეთი (გარდა სერბეთის იმ პასპორტებისა, რომელიც გაცემულია სერბეთის საკოორდინაციო დირექტორატის მიერ (სერბულად: *Koordinaciona uprava*)) (10)

[▼M5](#)

სეიშელის კუნძულები (8)

[▼B](#)

სინგაპური

[▼A1](#)

[▼M13](#)

სოლომონის კუნძულები (9)

[▼B](#)

სამხრეთ კორეა

[▼M2](#) _____

[▼M13](#)

ტიმორ-ლესტე (9)

ტონგა (9)

ტრინიდადი და ტობაგო (9)

ტუვალუ (9)

არაბეთის გაერთიანებული საამიროები (9)

▼B

ამერიკის შეერთებული შტატები

ურუგვაი

▼M13

ვანუატუ (9)

▼B

ვენესუელა

2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონები

ჰონგ-კონგი SAR (13)

მაკაო SAR (14)

▼M13

1. ბრიტანეთის მოქალაქეები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიის მოქალაქეები კავშირის სამართლის მიზნებისათვის:

ბრიტანეთის მოქალაქეები (ზღვისიქითა)

ბრიტანეთის ზღვისიქითა ტერიტორიების მოქალაქეები (Boac)

ბრიტანეთის ზღვისიქითა მოქალაქეები (BOC)

ბრიტანეთის დაცული პირები (BPP)

ბრიტანეთის სუბიექტები (BS)

▼M8

4. სუბიექტები და ტერიტორიული ორგანოები, რომლებსაც არ აღიარებს სულ მცირე, ერთი წევრი სახელმწიფო:

ტაივანი (15)

¹³ სავიზო ვალდებულებისაგან გათავისუფლება ვრცელდება მხოლოდ 'ჰონგ-კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის' პასპორტის მფლობელებზე

¹⁴ სავიზო ვალდებულებისაგან გათავისუფლება ვრცელდება მხოლოდ 'მაკაოს ადმინისტრაციული რეგიონის' (Região Administrativa Especial de Macau) პასპორტის მფლობელებზე

¹⁵ სავიზო ვალდებულებისაგან გათავისუფლება ვრცელდება მხოლოდ ტაივანის მიერ გაცემული პასპორტების მფლობელებზე, რომელიც შეიცავს პირადობის მოწმობის ნომერს.